საქართველო

№ 23 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 22 ნოემბერი 1942 წ.

სამშობლო გვიხმობს

საქართველოს ისტორია ერის ვინაობის დაცვისა და ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაა. გარდასულ ჟამთა წყვდიადში როგორც ელვარე ვარსკვლავნი კიაფობენ წინაპართა მიერ სამშობლოს დიდებისათვის გადახდილი ლეგენდარული გმირობანი. ბრძოლითა და სისხლით დაწერილია ჩვენი ხალხის ისტორია. ცეცხლის რკალად მოგვდებიან მტრის ურიცხვი ურდონი, აუოხრებიათ ჩვენი კერა, შეულახავთ დიდება, უწყალოს ხელით მოუკლავთ ქართული გრძნობა, მაგრამ ჩვენ კვლავ ალვისდგარივართ, ფარ-ხმალი არ დაგვიყრია, სისხლით გვიღებავს მიწა, მამული დაგვიცავს, მტერი შეგვიმუსრავს.

გადაშლით წყეული ისტორიის ფურცლებს, წინაპართა სისხლი მოჟონავს მის სტრიქონებიდან, იქ ოქროს ასოებით არის ჩაწერილი კრწანისის, წინანდალის, დიდგორის ველებზე წარმოებული მამულიშვილური, ვაჟკაცობის შარავანდედით მოსილი ბრძოლანი. იქ უკვდავების დიდებით გამოქანდაკებულან საჰაძეებისა და პატარა კახების მთელი თაობანი, რომელთა საგმირო საქმეები გვიხმობენ, მოგვიწოდებენ—ბოლომდე ერთგულნი ვიყოთ სახელოვანი ადათისა, მშობელი მიწისა.

დღეს მამული გმინავს ბოლშევიზმის მძიმე უღელს ქვეშ. ტანჯული ერი განსაცდელშია. ბოლშევიკები გრძნობენ რა მოახლოებულ დაღუპვას ერთი ასად სტანჯავენ ჩვენს მამებს, დედებს, ძმებს. ცრემლი და სისხლი არ შრება ჩვენს ოჯახებში. კატორღა, გადასახლება, სიკვდილი მართალი სიტყვისათვის,—აიეთია ჩვენი თანამემამულეთა მწარე ხვედრი. ისტორიამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა მამულის ხსნის საკითხი. ჭეშმარიტებით აღძრულს ბრძოლას, რომელსაც დიდი გერმანია მეთაურობს ჩვენი ხალხისათვისაც მოაქვს სანუკვარი ოცნება —განთავისუფლება. გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად საკაცობრიო სამართლიანობისათვის გაჩაღებულ ომში,ჰქუხან ქართველ ლეგიონერთა შაშხანებიც, იღვრება ჩვენი სისხლი...

ჩვენი მჩქეფარე თერგი, ლეგენდარული მთები, მტკვარი და რიონი, ალაზნის ველი, შირაქი, რაინუდლი ადათი,ქართული მიწა—ნუ თუ მონობაში უნდა დარჩნენ? არა. ჩვენ გვიყვარს სამშობლო და ამ სიყვარულს გამოვხატავთ თავგანწირვით, "სისხლით, მამული გვიხმობს, მისი შვილნი წვეთი-წვეთად გავიღებთ სისხლს. ბრძოლაში ჩვენ გვყავს უძლიერესი მფარველი და მეგობარი დიდი გერმანია, იბრძოლო გერმანიის ძლევამოსილ ლაშქართან ნიშნავს გაიმარჯვო. ჩვენ, ქართველმა ლეგიონერებმა, რომლებიც ფრონტზე ვიმყოფებით, ვიცით, რომ ვიბრძვით რა დღეს, ვიბრძვით ჩვენი ოჯახებისათვის, თანამემამულებისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის.

იმარჯვებს სიმართლე და იგი ჩვენს მხარეზეა. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მამულის ხსნის დროშა ჩვენი ხელით აფრიალდება . ახლა ვიდრე არასდეს საჭიროა სიფხიზლე, ჩვენი რიგების კიდევ უფრო განმტკიცება, გავხადოთ იგი დუღაბით შედუღებულ მონოლიტურ ერთიანობათ, შევქმნათ ერთიანი განწყობილება ბრძოლისა სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

მტერს არ სძინავს. მტერი ცდილობს შემოძვრეს ჩ ვენს რიგებში და მოსძებნოს სუსტი ნებისყოფის ადამიანები. თუ კი ჩვენს შორის აქა იქ არიან ან და აღმოჩნდებიან ბოლშევიზმის ბანგით დაბრმავებული ადამიანები, ვუჩვენოთ მათ ნამდვილი გზა, დავანახვოთ სიმართლე. თვითეულ ჩვენგანში უნდა გამომუშავდეს ერთვნული ერთიანობის გრძნობა-თავდადება სამშობლოსათვის.

ყოველი ცდა ჩვენი რიგების მთლიანობის შესუსტებისათვის მიმართული, უნდა ამოვსწვათ გახურებული შანთით. მტრის შავბნელ ზრახვებს ვუპასუხოთ კიდევ უფრო მეტი სიფხიზლით, შემჭიდროვდეთ — ერთიანი აზრითა და საქმით. ჩვენ გვწამს დიადი საქმე, რომელსაც ჩვენი შაშხანა ემსახურება.

მშიშარას, მლიქვნელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს და არც ექნება ჩვენს რიგებში, ახლა საჭიროა არა პრტყელი სიტყვა, არამედ საქმე, ვისაც სამშობლო უყვარს, იგი მოვალეა იდგეს ჩვენს რიგებში, იბრძოდეს ჩვენთან ერთად, ღვრიდეს საკუთარ სისხლს.

სამშობლო გვიხმობს: ჩვენ მისნი შვილნი მზად ვართ გავიღოთ სისხლი, საკუთარი სიცოცხლე. დიდება იმას, ვინც თავს დასდებს მამულისათვის, დიდება იმ ქართველ ლეგიონერს, ვინც გამოიჩენს საარაკოსებურ ძალას, დიდება იმას, ვინც მსხვერპლად შეეწირება სამშობლოს განთავისუფლების წმინდა საქმეს.

სამშობლო გვიხმობს შაშხანითა და საკუთარი სისხლით მივსცეთ მას პასუხი: **ჩვენ გავიმარჯვებთ, მომავალი ჩვენია.**

ზიგფრიდის ხაზი ატლანტიკაში

პორტუგალიის გაზეთი „დიარიო პოპულარი" ევროპის დასავლეთ სანაპიროებს ჩრდილოეთიდან ლისაბონამდე უწოდებს ზიგფრიდის ხაზს. მთელი ეს სანაპირო, რომლის სიგძე 3000 მილს აღემატება, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადაქცეულია მიუვალ ციხე-სიმაგრედ. ამ ციხესთან ყველა მისასვლელი გზა ბარიკადებითაა მოსილი და დახურულია. ყველგან არის სამეთვალყურო საგუშაგოები. რეზერვები განაწილებულია იმ გვარად, რომ მტრის მიერ დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში, ვიდრე დამხმარე ნაწილები მოვიდოდნენ მათ შესაძლებლობა აქვთ შეებრძოლონ მტერს რომელ პუნქტებზედაც არ იყოს იგი. მოწყობილია აგრეთვე უდიდესი ბაზები წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავებისათვის.ხ

ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე. ტუნისი.

ტუნისში

ომის ხმელთა-შუა ზღვის თეატრზე საომარი მოქმედებანი მიმდინარეობენ კონტრ - დარტყმის ნიშნით. გერმანია-იტალიის ჯარებმა უზრუნველყვეს რა საფრანგეთის სამხრეთი სანაპიროების დაცვა,დაიჭირეს ამ სანაპიროების მნიშვნელოვანი ფორპოსტი კორსიკა, რომელზედაც ამჟამად დგას იტალიის ჯარი. გერმანია-იტალიის ჯარების შემდგომი მოქმედება გამოიხატა იმით ,რომ ისინი შევიდნენ ტუნისში და დაიჭირეს ომისათვის უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი ჩრდილო-აფრიკაში. ტუნისის მოსახლეობა მათ მეგობრულად შეხვდა. ჯარების გადასხმა ტუნისში მოხდა საფრანგეთის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებასთან სრული შეთანხმების საფუძველზე.

მოკავშირეების იმედები იმაზე, რომ საფრანგეთის კოლონიალური ჯარები და ფლოტი ვერ გაუწევდა მათ წინააღმდეგობას არ გამართლდა. წინააღმდეგობა მთელი ძალით იქნა გაწეული სადესანტო ოპერაციების დაწყებისთანავე. ამჟამად საფრანგეთის თავდაცვის ხაზი მაროკოში გადის ფეცზე მეკნესისა და მარრაკეშს შორის. ყველა ეს ქალაქები ფრანგების ხელშია. ალჟირში ხდება საფრანგეთის ჯარების გადაადგილება,ისინი იხევენ უკან ქვეყნის შიგნით. ფრანგულს დასავლეთ აფრიკაში, კერძოდ დაკარში, სრული სიმშვიდეა.

417 ათასი ბრუტტო-ტონა

ალჟირის სანაპიროებზე გერმანია—იტალიის წყალქვეშა ნავები აწარმოებენ მძაფრ ბრძოლას. ისინი ანაადგურებენ მოკავშირეთა გემებს, რომლებიც ეძებენ შევსებას ან და ცდილობენ თავი დააღწიონ ხმელთა შუა ზღვიდან. აფრიკის ჩრდილო სანაპიროებზე გერმანია-იტალიის წყალქვეშა ნავებისა და ავიაციის მიერ ჩაძირული და დაზიანებულია 89 საზღვაო ერთეული, კერძოდ 14 სავაჭრო და დიდი ზომის სატრანსპორტო გემები 102 ათასი ტონის წყალწყვით. დიდ ნავთსაზიდ გემს 10 ათასი ბრუტტო ტონისას მოხვდა მინა. 7 სავაჭრო და სატრანსპორტო გემები 71 ათასი ტონის საერთო წყალწყვით ისე დაზიანდნენ, რომ შეიძლება ჩავთვალოთ დაღუპულად, ამგვარად თუ ამას დაუმატებთ 14 ნოემბრის ცნობით ჩაძირულ გემებს, საერთოდ ჩაძირულია 183 ათასი ბრუტტო ტონა. გარდა ამისა დაზიანებულია 35 სატრანსპორტო, ერთი სახაზო და 3 თვითმფრინავთ მზიდი გემი. ჩაძირულია 3 და დაზიანებულია 14 კრეისერი.

სადესანტო მოქმედებათა დაწყების დღიდან ღერძის სახელმწიფოებმა ჩაძირეს და დააზიანეს მოკავშირეთა გემები 417 ათასი ბრუტტო ტონისა.

გერმანელთა ტანკები კავკასიის მთებში

ვის ხელშია ევროპის გასაღები

იტალიის გაზეთი „პოპოლო დ იტალია" სწერს, რომ ინგლისის გაზეთები ზეიმობდნენ რა თითქოს ინგლისმა მოიპოვა ბატონობა ხმელთა-შუა ზღვაზე ამჟამად აღიარებენ, რომ მან უკვე დაჰკარგა ეს ბატონობა. ისინი ამღენხანს "სასტიკად უარყოფდნენ ამ გარემოებას. ჯერ არავინ არ იცის რითი გათავდება რუზველტის ყაჩაღური ექსპედიცია და მისთვის თავდადებული ბრმა ჩერჩილის საქმენი. მუტსმა აღნიშნა, რომ ხმელთა-შუა ზღვის მფლობელი, ფლობს ევროპის გასაღებს. ამ გასაღებისათვის მიდის ახლა ბრძოლა. გასაღები, რომელიც იმყოფება მტკიცე საფარს იქით კორსიკა-ხელმწიფოების ხელშია.

სა და სამხრეთ საფრანგეთში ლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ფრონტებზე

კავკასიის ფრონტზე გერმანიისა და რუმინეთის ჯარების მიერ ბოლშევიკების ყველა იერიში უკუგდებული იქნა. სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის იერიშები მოგერიებულია მტრისათვის დიდი დანაკარგით. ავიაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს ბრძოლაში. ფრონტის სხვა ადგილებში გერმანელებისა და მათი მოკავშირეთა ჯარების მიერ განადგურებული იქნა მტრის სიმაგრეები და საცეცხლო წერტილები. გერმანელებმა ხელთ იგდეს ტყვეები და სამხედრო საჭურველი. ბოლშევიკების მიერ წარმოებულმა ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშებმა ვალუევთან და ილმენის ტბასთან მწვავე მარცხი და განადგურება განიცადეს.

კირენაიკაში გერმანია-იტალიის ჯარები გააფრებულ წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელთა დაწოლას. მძიმე ბრძოლების შედეგად მათ დაიხიეს უკან დასავლეთისაკენ. ფელდმარშალ რომელი აწარმოებს კანონზომიერ უკან დახევას, ახალ თავდაცვით ხაზისაკენ. ხუთი თვის წინად ფელდმარშალმა რომელმა ასეთივე მანევრირებით ინგლისელებს უდიდესი ზარალი მიაყენა. ინგლისელებმა სამხედრო საჭურვლისა და სურსათის დიდი რაოდენობით დაკარგვის გარდა, დაჰკარგეს დიდ ძალი ცოცხალი ძალა—30 ათასი ტყვე. ტობრუკი ფელდმარშალ რომელის ბრძანების თანახმად ევაკუირებულია, ხოლო მისი ციხე-სიმაგრეები და პორტი — დანგრეული. ფელდმარშალ რომელის მორიგი მანევრი ინგლისელთათვის ახალი განადგურებით დამთავრდა.

მოკავშირეთა დესანტის წინააღმდეგ ბრძოლა აფრიკის სანაპიროებზე გრძელდება. ბუჟის რაიონში თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ჰაეროდრომს, დაზიანებულია მტრის 2 სატრანსპორტო გემი და ჩაძირულია 1 წყალქვეშა ნავი.

ბალტიის ზღვაში

ფინეთის ჯარის უმაღლესი სარდლობის ცნობით 16 ნოემბერს ფინეთის წყალქვეშა ნავებმა ფინეთის უბეში და ბალტიის ზღვაში ჩასძირეს საბჭოთა 3 დიდი გემი. პირველი გემი ჩაიძირა ტორპედოსაგან, მეორე მოხვდა საარტილერიო ცეცხლში განვლო 4 კილომეტრი და წააწყდა ტორპედოს. მესამე გემი არტილერიისაგან ისე ძლიერად დაზიანდა, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ გაექანა ზღვის ძირისაკენ. ჩაძირული გემების საერთო წყალწყვა 1300 ბრუტტო-ტონაა. მათი სიჩქარე აღწევდა 20 საზღვაო მილს საათში. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ტორპედოებითა და ქვემეხებით 10,5 და 4,5 სანტიმეტრის კალიბრით. თვითეულ გემზე იყო 50 კაცი.

საფრანგეთის წინააღმდეგ

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ მარტინიკიდან მიღებული ცნობებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადმოსხა დესანტი ანტილიის კუნძულებზე, რომლებიც საფრანგეთს ეკუთვნის. ბრაზილიის ჯარებმა გადალახეს საფრანგეთის გვიანის საზღვრები და იპყრობს საფრანგეთის ამ კოლონიის ტერიტორიას.

გიბრალტარში

ესპანეთიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელ დღეებში გიბრალტარში შევიდნენ ინგლისელთა და ამერიკელთა სამხედრო და სატრანსპორტო 50 გემი, რომლებმაც განიცადეს დაზიანება. ერთი დრედნოუტი და თვითმფრინავთ სადგომი გემი ძლიერ იყვნენ დაზიანებულნი. ისინი მოიყვანეს ბუქსირით. ამ გემების შეკეთება ადგილზედ ვერ მოხერხდა, რადგან ნავთსადგურები გადატვირთულნი არიან.

გარდა ამისა გიბრალტარში მოიყვანეს 5000 დაჭრილი, რომელთათვის ქალაქში არ არის ადგილი, ელოდებიან სატრანსპორტო გემს, რომელიც მათ გადაიყვანს ბრიტანეთის კუნძულებზე.

ბრძოლა სტალინგრადისათვის

სამეურნეო მდგომარეობა თურქეთში

თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სარაჯოღლუმ თურქეთის ნაციონალურ კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც დაასურათა თურქეთის მძიმე სამეურნეო მდგომარეობა. „ომი, რომელიც გრძელდება,—განაცხადა სარაჯოღლუმ,— დაღს ასვამს თურქეთის სახალხო მეურნეობას. ომის წინ დაგროვილი მარაგი უკვე დახარჯულია. შემოტანის შემცირებისა და ფასების გადიდების გამო თურქეთი ძალაუნებურად უნდა დაკმაყოფილდეს საკუთარი მომარაგებით. მტკიცე ფასებისა და ბაზრის რეგულირებისათვის ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

სარაჯოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლება მომავალში გამოჰყოფს მცირე მოხელეთა და მოსამსახურეთა განაკუთრებულ ჯგუფს. ამ ჯგუფში ჩაირიცხება 500 ათასამდე კაცი. ჯგუფის წევრები მთავრობისაგან მიიღებენ ტანსაცმელს და საკვებ პროდუქტებს. ყველა სხვა დანარჩენი დაეთმობა კერძო ბაზარს.

შემდეგ სარაჯოღლუ გადადის პურის ბაზრის მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ პურის წლევანდელი მოსავალი განისაზღვრება დაახლოვებით 7 მილიონი ტონით. ხელისუფლებამ მიწადმფლობელებისაგან მოითხოვა ჩააბარონ მას 1,3 მილიონი ტონი პური, მაგრამ ჯერჯერობით მათ მიერ ჩაბარებულია მხოლოდ 600 ტონი. იმედების დამყარება იმაზე, რომ შემოზიდული იქნას პური დიდი რაოდენობით, ამაოა.

სახალხო მეურნეობა თურქეთში მძიმე მდგომარეობას განიცდის. ხელისუფლების განცხადებებიდან სჩანს, რომ ერთადერთი გზა არის საკუთარი სახსრებით მომარაგება.

სტალინის ახალი ბრძანება

ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულის დღეს სტალინმა გამოსცა ახალი ბრძანება წითელი არმიისადმი. ამ ბრძანებაში იგი აღნიშნავს, რომ მტერს ს ულ ახალი და ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე და ბრძოლა ღებულობს უფრო სასტიკ ფორმას. გასულმა თვეებმა სტალინის აზრით დაადასტურეს საბჭოთა კავშირის სიმტკიცე, რომ საბჭოთა კავშირმა ფაშისტებთან უსაფუძვლო ბრძოლით დაიმსახურა სიმპატია ყველა მშვიდობიანობის მოყვარულ ხალხთა შორის. „ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავსწმინდოთ, —ნათქვამია ბრძანებაში,— საბჭოთა კავშირის ტერიტორია, ამისათვის საჭიროა მტკიცეთ დავიცვათ ჩვენი ფრონტის ხაზი, არ დაუშვათ მტრის შემდგომი წინსვლა, განვამტკიცოთ დისციპლინა და უზრუნველვყოთ მეთაურობის ერთიანობა." საინტერესოა აღნიშნოს, რომ არც საიუბილეო სიტყვაში და არც ბრძანებაში სტალინს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს „მსოფლიო რევოლუციაზე."

სანგრებში აღმოსავლეთის ფრონტზე

გამანადგურებელი დარტყმა

მსოფლიო ომი მოიცავს ქვეყნის ახალ-ახალ სივრცეებს. მეორე ფრონტი, რომელზედაც ბევრს გაჰყვიროდნენ ბოლშევიკები და თავს იმტვრევდნენ საერთაშორისო პლუტოკრატები ევროპის მიწაზე, ვერ განხორციელდა. ინგლის-ამერიკელი ავაზაკები შეეცადნენ მეორე ფრონტის დროშების გაშლას აფრიკაში. ყაჩაღურმა თავდასხმებმა მაროკოსა და ალჟირზე, აფრიკის სანაპიროებზე ომი ახალს ფაზაში შეიყვანეს.

ჩერჩილმა და რუზველტმა ისარგებლეს რა საფრანგეთის სისუსტით, რომელსაც არ შესწევს ძალა დაიცვას თავისი კოლონიები, დაიწყეს თავიანთი ყაჩაღური მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლა. როგორც უკვე ვიცით, მოკავშირეებმა მრავალრიცხოვანი ჯარი გადმოსხეს მაროკოში და ალჟირში. საფრანგეთის ჯარი თავდადებით განაგრძობდა ბრძოლას ფადალასთან, საფასთან და პორტ- ლიოტესთან ამერიკელთა წინააღმდეგ. ამავე დროს მაროკოში იფეთქა ამბოხებამ, რომელიც სწრაფად იქნა ჩაქრობილი. სულთანის რეზიდენციისაშიშროება მოელოდა, მან უარი სთქვა დაეტოვებინა რაბატი. ბრძოლის დღეებში მაროკოს მუსულმანთა მეთაურმა მოწოდებით მიმართა ხალხს მედგრად ებრძოლათ ამერიკელთა წინააღმდეგ.

10 ნოემბერს გაზეთებმა მოიტანეს ცნობა იმის შესახებ, რომ დილით დაეცა ორანი. დაკარი საბრძოლო მდგომარეობაშია. ორი თვის მძიმე ბრძოლების შემდეგ ფრანგებმა მადაგასკარზე შესწყვიტეს ბრძოლა.

ინგლის-ამერიკელთა ყაჩაღური თავდასხმების საპასუხოდ მარშალმა პეტენმა იკისრა უხელმძღვანელოს საფრანგეთის ჯარს და გასცა ბრძანება საფრანგეთის კოლონიების დასაცავად. პეტენმა მიიღო ვიშის გენერალი ვაიგანი. მოლაპარაკების საფუძველზე ვიშის მთავრობამ დაკეტა საზღვრები შვეიცარიასთან და ესპანეთთან ამერიკელ მოქალაქეთათვის.

აფრიკის სანაპიროებთან საომარმა ოპერაციებმა ფართო ხასიათი მიიღო. 11 ნოემბერს ადოლფ ჰიტლერმა გერმანიის არმიას მისცა ბრძანება გადასულიყო საფრანგეთის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე და დაეჭირა სანაპირო პუნქტები, რომლებიც ინგლის- ამერიკელთა მუქარის ქვეშ იმყოფებოდნენ. ადოლფ ჰიტლერმა მოწოდებით მიმართა საფრანგეთის ხალხს. „გერმანიის არმია, — ნათქვამია მოწოდებაში, — საფრანგეთში შედის არა როგორც ფრანგი ხალხის და მისი ჯარის მტერი, მას არ აქვს განზრახვად მართოს ეს ოლქები. ის ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს: აღკვეთოს ინგლის - ამერიკელთა თავდასხმის ყველა ცდა. მარშალი პეტენი და მისი მთავრობა სავსებით თავისუფალნი არიან. მათ წინადებურად შეუძლიათ თავიანთი პასუხსაგები მოვალეობანი შეასრულონ".

გერმანიის არმიის ჯავშნიან-მექანიზებულმა ნაწილებმა 12 ნოემბერს მიაღწიეს უკვე ხმელთა-შუა ზღვის სანაპიროებს. 11 ნოემბერს იტალიის არმიამ განვლო რა ნიცცა, მიაღწია მდინარე რონას.

გერმანია -იტალიის ავიაცია განაგრძობს ინგლის- ამერიკელთა მიერ გადმოსხმული ჯარების განადგურებას. მძაფრი ბრძოლა სწარმოებს ზღვაზეც. ღერძის სახელმწიფოები უდიდეს ზიანს აყენებენ მტერს. საჰაერო ძალების განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად აფეთქებულია ტრანსპორტი, რომელსაც გადაჰქონდა ყუმბარები. ნავთსადგურ ბუჟში ჩაძირულია 2 გემი 16 ათასი ტონის წყალწყვით და დაზიანებულია 12 ხომალდი. გერმანია-იტალიის ავიაციამ ბომბები ჩამოყარა ალჟირის ჰაეროდრომებზე.

აფრიკის სანაპიროებზე გრძელდება მძაფრი ბრძოლა. ღერძის სახელმწიფოები განაგრძობენ თავის გამანადგურებელს დარტყმებს ყველა ფრონტზე.

ვისწავლოთ სამხედრო ხელოვნება

ჩვენ ვიწყებთ ტაქტიკური ამოცანების ბეჭდვას. გირჩევთ შეიკრიბოთ და ერთად განიხილოთ ამ ამოცანათა თითეული საკითხი. შემდეგ ნომერში მოთავსებული იქნება ამოხსნა, შეადარეთ იგი თქვენს პასუხს.



მეცამეტე ლეგიონის პირველ ბატალიონს გეგმიანად მიაქვს იერიში მტერზე შარაგზის სამხრეთით, რომლის პოზიციაც განლაგებულია მუხნარის ტყის დასავლეთ ნაპირზე. ბატალიონის მარცხენა ფრთა მაღლობზე ძეგლითაა აღნიშნული რუქაზე. შტაბი იმყოფება ს. ხევის აღმოსავლეთით. ბატალიონის რეზერვი (1 ასეული და 1/2 დაზგიანი ტყვიამფრქვეველთა ოცეული—მეცამეტე ლეგიონის პირველი ბატალიონი და ნახევარი ტყვიამფრქვეველთა ოცეული), რომელიც მიჰყვება ბატალიონის მარცხენა ფრთას, ეს არის შევიდა ს. ხევის მიდამოებში და უცდის მორიგ ბრძანებას.

1-ლი ასეულის 1-ლი ოცეულის მეთაური ფელდფებელი ნერგაძე ზვერავს ს. ხევის მიდამოებს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან. ფრონტზე შემდეგი სურათია: **ა) საბრძოლო მოქმედებანი:** სიმაღლიდან 30, მისი ტყვიამფრქვევები აწარმოებენ ცეცხლს. მათი პოზიციის ახლოს მოსჩანს მტრის ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცალკეული მოხვედრანი. მაღლობს აქეთა მხარეს მოფარებულნი არიან მსროლელთა ცალკეული ჯგუფები. რამდენიმე მსროლელი გადარბის სიმაღლე 30-დან სიმაღლე 25-ის ბუჩქნარებამდე. ნახევრად მარჯვნივ, ქვიშიან ორმოში განლაგებულია მინმტყორცნთა ოცეული, რომელიც ესვრის ს. ხევს და შარაგზას ხევსა და სიმაღლე 30-ს შორის. ს. ხევის დასავლეთ რაიონიდან მას ბატარეა ეხმარება ცეცხლით, რომლის მოხვედრანი არ მოსჩანან. ხევის მიდამოებიდან 2—3 კილომეტრის მანძილზე მოისმის ხმაური ბ)ადბ) **ადგილმდებარეობა:** სიმაღლე 30 და წისქვილი მდებარეობენ შემაღლებულ ადგილზე; შემდეგ მუხნარის ტყის მხრიდან ის დაბლდება. შარაგზის ორივე მხარეს დაუმუშავებელი მიწა და სათიბებია, ბუჩქებითა და გორაკებით (დაწვრილებით რუქაზე). ხედვა აღმოსავლეთით განისაზღვრება სიმაღლე 30-ით (მას უკან მოსჩანს ტყის ნაპირები) სიმაღლე 25-ის ბუჩქნარების ნაპირზე ბელლით, რომელთა უკან მოსჩანს ქარის წისქვილის სხურავი.

9 საათზე ოცეულის მეთაური გამოძახებულია ასეულის მეთაურთან, რომელიც დგას მარჯვნივ რამდენიმე ნაბიჯზე და ელაპარაკება ახლად მოსულ ბატალიონის ადიუტანტს. ასეულის მეთაურს ფელდფებელს ნერგაძეს ატყობინებს, რომ ამ მომენტიდან 1-ლი ოცეული უშუალოდ ემორჩილება ბატალიონს. შემდეგ ამისა ადიუტანტი ფელდფებელს აძლევს სიტყვიერ ბრძანებას: „ჩვენი მზვერავები ნახევარი საათის წინ ტყეში გზის მარცხნივ (აჩვენებს ტყისაკენ ქარის წისქვილის აღმოსავლეთით) წააწყდნენ მტერს და გაიფაანტნენ. დაბრუნებულმა ერთმა დაჭრილმა მხედარ მა მოგვახსენა, რომ რამდენიმე მზვერავი მოკლულია, დანარჩენებმა (3-4) შეიძლეს დაეხიათ ქარის წისქვილის სიმაღლისაკენ. მტრის სიძლიერის შეახებ მან ვერ შესძლო ცნობების გადმოცემა. როგორც სჩანს, იქ დგას ფეხოსანი ჯარი დაახლოებით 2 კილომეტრზე ჩრდილოეთით წისქვილის სიმაღლიდან, საიდანაც ისმის სროლა. იერიშზე გადადის მე-14-ე ლეგიონი. დაწვრილებით, თუ რა ხდება იქ, ან რამდენით წაიწია წინ მე-14 ლეგიონმა, მე არ ვიცი. **ამოცანაა:** ფელდფებელ ნერგაძის ოცეული დაუყონებლივ გაემართოს სიმაღლისაკენ (წისქვილი) და დაიკავოს ბატალიონის ფრთის საფარი. დაზგიან ტყვიამფრქვეველთა ოცეულის ნახევარი, რომელიც ს. ხევის მიდამოებში იმყოფება, გემორჩილებათ თქვენ. იქ (აჩვენებს ხელით გზის არხს) ჯგუფი უკვე გვიახლოვდება. ბატალიონის ხელმძღვანელი პუნქტი ჯერ-ჯერობით რჩება ს. ხევის წითელ შენობაში. მოაწყვეთ კავშირი სინათლით." **შენიშვნა:** 1. ჯარისკაცები კარგად არიან გაწვრთნილნი, საჭურველი და ვაზნები საკმარისია; 2, მტერი კარგადაა შეიარაღებული; 3, ამინდი მშრალია; 4, ამ რაიონში ჯერ არ უმოქმედნიათ არც მტრისა და არც ჩვენ მფრინავებს.

ამოცანა: განკარგულება და ღონისძიებანი ფელდფებელ ნერგაძისა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად (რომელი გზით, რა წესრიგით წაიყვანს იგი ოცეულს, როგორ გაშლის და უზრუნველყოფს თავის ხელქვეით ნაწილს).

ლაშქრული

შევიარაღდეთ, ქართველნო!
აბჯარ ავისხათ წელზედა,
შევკაზმოთ ბედაურები,
გავიდეთ ბრძოლის ველზედა!

ერთხმათ შევსძახოთ ლაშქრული,
ამოვიწოდოთ ხმალია,
მტერს ვაი-დედა ვაძახოთ,
გადავუხადოთ ვალია!..

განსაცდელშია სამშობლო,
გული აქვს გადაბზარული.
შავ-ბნელ ძალებთან შებმულა,
სისხლი სდის ნიაღვარული.

ბოლო მოვუღოთ მონობას,
ვიხსნათ ტანჯული ერია,
მრავალი წლობით ჩაგრული
გავხადოთ ბედნიერია!

გერმანიიდან ხმა ისმის
გულ-რკინა მებრძოლისაო.
იხარეთ კავკასიელნო,
მკვიდრნო მაღალ მთისაო!..

ლ. არაგველი.

აფრიკაში. გერმანელი ჯარისკაცი უთვალთვალებს მტრის თვითმფრინავს

ჩვენი ლიტერატურა

1.

ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორია შორეულ წარსულიდან იწყება. ჩვენამდის არ მოუღწევია წარმართული ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს. ოფიციალურად ჩვენი ლიტერატურის ისტორია იწყება დაახლოებით მე-5 საუკუნიდან. ამ ეპოქის ძეგლს წარმოადგენს იაკობ ხუცესის „წამებაი წმინდისაი შუშანიკისი". ეს ნაწარმოები იმდენად სრულყოფილი ქმნილებაა, რომ შეუძლებელია იგი იყოს ჩვენი ერის პირველი მხატვრული ნაწარმოები. ჰაგიოგრაფიული თხზულებანი ორიგინალურ ნაწარმოებებს წარმოადგენენ, თუმცა მათ ღრმად აჩნიათ ბიზანტიური კულტურის გავლენა.

მე-12-ე საუკუნე ქართული ხალხის ცხოვრებაში წოდებულია „ოქროს ხანად", ერის მეთაურად პირველად ისტორიაში ქალი ითვლებოდა. ევროპაზე ადრე დაიწყო რენესანსი საქართველოში, დიდი ინტელიგენტის, გენიოსი შოთა რუსთაველის პირით საქართველო ჰგალობდა ქალთა და კაცთა გათანასწორების ჰიმნს, ბრძოლისა და სიყვარულის სიმებს პირველად ქართველმა ერმა ჩამოჰკრა. სიყვარულს უმღეროდნენ: შავთელი, ჩახრუხაძე, ბესიკი.

ქართული ინტელიგენცია იცნობდა ევროპასა და მის ცივილიზაციას. ჩვენი ერი ფართოდ გაულებდა ხოლმე კარს მოწინავე საკაცობრიო იდეალებს. სულხან-საბა ორბელიანს თავისი სიბრძნით, მჭერმეტყველობით განცვიფრებაში მოჰყავდა რომის სენატი. მე-19 ე საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნე, პოეტი, პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე საკაცობრიო იდეებით აღგზნებული ერის კულტურისა და ისტორიის სადარაჯოზე იდგა ისე ვით მაგარი, ათასწლოვანი მუხა. ვიდრე გარეწარებმა „ე. წ. „მესამე დასიდან" ბოლო არ მოუღეს მას. „ხეს სჭრიან ფოთოლი სცვივაო"—ასე განაცხადეს მაშინ „მესამე დასის" ზანაკიდან, მაგრამ ილია როდი იყო უბრალო ფოთოლი. იგი იყო ერის სიამაყე, დიდება, უდიდესი მოჭირნახულე.

ორჯერ მოჰკლეს დიდი ილია. ერთხელ მოჰკლეს **იგი წიწამურთან, მეორეჯერ** საბჭოთა საქართველოში. ამ დიდს **მამულიშვილს საფლავშიაც აღარ** აყენებდნენ, სთითხნიდნენ მის წინააღმდეგ ყოველგვარ უმსგავსოებას, ბეჭდნიდნენ საბრალმდებლო სტატიებს, სახავდნენ რეაქციონერად. ყველას მოეხსენება „პოეტის" ფ. ნაროუშვილის ლექსი ილიაზე, რომელსაც ილია გამოჰყავდა ტირანად, მშრომელი გლეხობის სისხლის მსმელად. ქართველი ხალხს ახსოვს პროლეტმაფის პლატფორმის კრიტიკოსის ვ. ქიქოძის სტატიები მიმართული ილიას წინააღმდეგ. ერთ ხანს ილია ჭავჭავაძე **სავსებით ამოღებული იყო სასკოლო** სახელმძღვანელოებიდან.

ბოლშევიკებმა ქართველ ინტელიგენტს ჩაუკლეს შემოქმედებითი უნარი. მისი მოღვაწეობა არ იყო გულწრფელი, მას აიძულებდნენ ეკეთებია „პროლეტარიატის დიქტატურის" სასარგებლო საქმე. ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა ასცდა თავის წმინდა დანიშნულებას, იგი სახელოსნოდ გადაიქცა, შემოქმედი ხელოსნად გახდა, რომელიც შეკვეთით მოღვაწეობდა. ბოლშევიკები ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყველა მათ, ვინც სიტყვით თუ საქმით არ უპასუხებდა მათს ლოზუნგებს. მე-20-ე საუკუნის დიდი მწერალი მ. ჯავახიშვილი აწამეს იმისათვის, რომ მან თავის მხატვრულ ნაწარმოებში ქება-დიდება არ უძღვნა საბჭოთა კავშირის მესვეურთ, სოციალისტურ ეპოქას. ჯავახიშვილის ცნობილი თხზულება, ჩვენი დროის „ვეფხვის ტყაოსანი", „არსენა მარაბდელი" აკრძალული და კონფისკაცია ქმნილი იქნა. კრიტიკა, საზოგადოებრივი აზრი მას ახასიათებდა, როგორც კულაკურ აგენტურას ლიტერატურაში, ავტორს ნათლავდნენ ხან ხალხის მტრად, ხან ჯაშუშად. პოეტმა პაოლო იაშვილმა 1938 წელს მოიკლა თავი და ამით დააღწია თავი შინსახკომის ჯურღმულებს. სად არის პოეტი ტიციან ტაბიძე დღესაც არავინ იცის.

ის, ვინც შეეგუა საბჭოთაა სინამდვილეს, დახურდავდა, გამოიფიტა. „პოეტების მეფე" გალაქტიონ ტაბიძე, ოდესღაც მიზნიდეველი, დღეს არავის აინტერესებს გარდა ბოლშევიკი კომისრებისა, ცეკას წევრებისა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ლევ. ა. ქ.

მოკლე ცნობები

▲ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იორდანას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საფრანგეთის ელჩთან მადრიდში.

▲ რეიტერის სააგენტოს ცნობით ამერიკის მთავრობის განკარგულებით, ამერიკის ნავთსადგურებში მყოფი საფრანგეთის ყველა გემი კონფისკაცია ქმნილია.

▲ ბრიტანეთის ხელისუფალთა მოთხოვნით, ეგვიპტის მთავრობამ „ანტიბრიტანული განწყობილებათა“ გამო სამუშაოდან გაანთავისუფლა მრავალი პროფესორი.

▲ ამერიკის ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ განაცხადა, რომ ვაჭრობისა და კრედიტების საკითხებში საფრანგეთი განხილული იქნება როგორც მტრული ქვეყანა.

▲ მექსიკამ და კანადამ გასწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან.

▲ იტალიის მეფემ და იმპერატორმა იზეიმა დაბადებიდან 73 წლისთავი.

▲ დანიაში საგარეო საქმეთა მინისტრის, სკავენიუსის თავმჯდომარეობით შესდგა ახალი მთავრობა.

▲ რუზველტმა ბრიგადის მეთაურად პირველად დანიშნა არაბი და მიანიჭა მას გენერლის ხარისხი.

▲ ამერიკის პრესის ცნობით ჩუნკინგის სამხედრო დავალიანება ომის განმავლობაში შეადგენს 11 მილიონ ჩინურ დოლარს.

▲ ინგლისელები იუწყებიან, რომ რამდენიმე თვის წინად ეგვიპტეში დაპატიმრებული საავტომობილო კლუბის თავმჯდომარე თაგერ ფაშა და თავადი აბას ხალიმი გადაყვანილი იქნენ კენიუში, სამხრეთ აფრიკაში.

▲ „იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით ამერიკაში ფინანსიური უსახსრობის გამო დაიხურა 50 უმაღლესი სასწავლებელი.

▲ ბრაზილიის მთავრობის დეკრეტით ომის განმავლობაში მთელს პრესაზე წესდება წინასწარი სახელმწიფოებრივი ცენზურა.

▲ 15 ოქტომბრიდან ირანის რკინისგზებზე ტარიფი გადიდებულია ერთი ორად.

* კანადაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პირველი წარმომადგენელი გუსევი.

გერმანიის ავიო - გამანადგურებლები თავს ესხმიან საბჭოთა რკინისგზის სადგურს.

მ ე ს ს ე რ შ მ ი დ ტ ი

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში თითქმის ყოველ დღე შეხვდებით მესსერ შმიდტის სახელს. იგი არის ადამიანი, რომელმაც შექმნა მსოფლიოში უსწრაფესი თვითმფრინავი. მესსერ შმიდტი ავტორია აურეულობით ავიო-კონსტრუქციებისა, ითვლება მიუნხენის თვითმფრინავთ მშენებლობის პოლიტექნიკური ტექნიკუმის პროფესორად.

მესსერ შმიდტის მთავარ საავიაციო ქარხანაში ათასეული მუშა მუშაობს, მთელს ქარხნებში კი 10 ათასზე მეტი. აქ კეთდება თანამედროვე გერმანიის უძლიერესი თვითმფრინავები. მესსერ შმიდტი არქიტექტორ გარტის მოწაფეა. გარტიმ მსოფლიო ომში წასვლისას 16 წლის ვილი მესსერშმიდტს დაუტოვა პლანერის ნახაზები, დაბრუნდა რა ომიდან მას თვითმფრინავი აგებული დახვდა. ამ დღიდან ვილიმ თავისი სიცოცხლე მთლიანად დაუკავშირა საავიაციო საქმეს.

მესსერშმიდტმა გადატრიალება მოახდინა საპლანერო საქმეში. გააუმჯობესა პლანერის კონსტრუქციები, დადგა ზედ მოტორი, ააგო უმთავრესი და უსწრაფესი სატრანსპორტო თვითმფრინავები. დღეს დედამიწის ზურგზე ვერ ნახავთ ვერცერთ თვითმფრინავს, რომელსაც არ ჰქონდეს მესსერშმიდტის რომელიმე კონსტრუქცია მაინც.

მესსერშმიდტი აგებს თვითმფრინავ „ტაიფუნს“. იგი დედამიწის ზურგზე ყველაზედ უსწრაფესი სატრანსპორტო თვითმფრინავია, მისი სიჩქარე 300 კილომეტრია საათში. იგი მიფრინავს ურაგანის ძალით, მასზე დადგმულია ქვემეხები და ტყვიამფრქვევები. ეს თვითმფრინავი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მრისხანე ავიო-გამანადგურებლის „მე 109“ პროტოტიპს. მესსერშმიდტის თვითმფრინავების უძლეველობა ყველასათვის ნათელია. მისი კონსტრუქციის ავიო-გამანადგურებლები, სატრანსპორტო თვითმფრინავები სასწაულებს ახდენენ. გერმანიის გამოჩენილი მფრინავები თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ უდიდეს კონსტრუქტორს, იგი გულდასმით სწავლობს მათ, იყენებს ახალი წარმატებებისათვის საავიაციო საქმეში. მესსერშმიდტი 44 წლის კაცია. მას აქვს უდიდესი ენერგია, მუშაობს ენტუზიაზმით. მესსერშმიდტის კონსტრუქციის ავიო-გამანადგურებლების მიერ ჩადენილი გმირული საქმეები უკვდავს ჰყოფენ ამ ადამიანის სახელს.

ლეგ. შ. მ.

გასართობი

სიტყვათა შეჯვარება №8



ჰორიზონტალური

1. ქართველი პოეტის სახელი, 3. ადმინისტრატიული დანაყოფი, 5. სამთავრო ძველ საქართველოში, წინა ასოს გამოკლებით, 8. ხიზილალა რუსულად, 9. სახელმწიფო მცირე აზიაში, უკანასკნელი ასოს გამოკლებით, 10. მიმართვა ახვლისათვის, 12. ბელადი იტალიურად, 14. გერმანელი კომპოზიტორი, 15. გერმანული მისალმება, 16. მდინარე კახეთში.

ვერტიკალური

1. ფერი, 2. ერთი ადამიანის მიერ შესრულებული სიმღერა ოპერაში, 3. ოთხეული, 4. (ქვემოდან ზემოთ) სახლი სოფელში, 6. მტევნების კონა, 7. გარეული ფრინველი, 10. მაჰმადიანთა ღმერთი, 11. ხილი, უკანასკნელ ასოს გამოკლებით, 12. რკინა-ბეტონის ცეცხლის მუდმივი წერტილი რუსულად, 13. ხრულუფლებიანი წარმომადგენელი.

სიტყვათა შეჯვარების №6 ახსნა

ჰორიზონტალური

1. ერეკლე მეორე, 5. მეორე, 8. ხკა, 9. ადლი, 10. ახოტ(ი), 11. ალი, 12. კონსტიტუცია.

ვერტიკალური

2. რადიო, 3. (ბ)ეხლან(ი), 4. ეკალი, 6. ოთხიც, 7. რიონი.

ალჟირი და ტუნისი

საომარ მოქმედებათა ფართოდ გაშლა ხმელთა-შუა ზღვაზე, აფრიკის ჩრდილო სანაპიროებზე, ამჟამად მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. მრავალ ჩვენგანს არა აქვს წარმოდგენა ალჟირსა და ტუნისზე, ქვეყნებზე, რომლებიც უკვე არიან და იქნებიან მომავალი დიდი სამხედრო ოპერაციების ადგილნი. მოკლედ გადმოგცემთ ცნობებს ამ ქვეყნების შესახებ. ალჟირი მდებარეობს აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში, უჭირავს 2 მილიონ 196 ათასი კვადრატული კილომეტრი და ეკუთვნის საფრანგეთს. მისი მოსახლეობა უდრის 6 მილიონ 910 ათასს, მათ შორის 882 ათასი ევროპიელია. მოსახლეობის 3/4-ს შეადგენენ ფრანგები, ერთი მეოთხედს კი ადგილობრივი ტომები კაბალები და არაბები. მცხოვრებთა ორი მესამედი მაჰმადიანია.

ალჟირი მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრეებით, როგორიცაა: რკინა, თუთია, ტყვია, ფოსფორი, სპილენძი, ვერცხლ-

ის წყალი. ალჟირს აქვს 11-დე ქალაქი თვითეული 25 ათას მოსახლეობით ალჟირი არ წარმოადგენს კოლონიას, არამედ ემორჩილება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სათავეში სდგას გენერალ-გუბერნატორი.

უძველეს დროში ალჟირი შესდგებოდა რომის ორი პროვინციისაგან ნუმიდიისა და მავრიტანიისაგან. მე-7 საუკუნეში ეს მიწები დაიპყრეს არაბებმა. 1509 წელს ალჟირში შევიდნენ ესპანელები, მაგრამ გამოდევნილი იქნენ თურქთა მიერ, ამის შემდეგ იგი თურქეთის ხელშია. 1830 წელს ალჟირს იპყრობენ ფრანგები.

ტუნისი ალჟირის მოსაზღვრე ქვეყანაა, უჭირავს 125 ათასი კვადრატული კილომეტრი. მისი მოსახლეობა 2,6 მილიონს უდრის. მათ შორის 108 ათასი ფრანგია, 94 ათასი იტალიელი, 50 ათასი ებრაელი. ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად შესდგება არაბიზებულ კაბილაელთაგან, რომლებიც უმთავრესად მისდევენ სოფლის მეურნეობას. ტუნისში არის რკინა, თუთია და ტყვია. უძველეს დროს ტუნისი კართაგენის იმპერიას ეკუთვნოდა. მე-7 საუკუნის ბოლოს აქ დამყარდა არაბთა ძალა-უფლება, 1575 წელს კი იგი თურქეთის იმპერიის ხელშია. ფრანგებმა ტუნისი დაიპყრეს 1881 წელს. მარიალია ბეიმ დაიტოვა თავისი ტახტი, მაგრამ ფრანგები შევიდნენ რა იქ, დაამყარეს თავიანთი მმართველობა.

გერმანიის სამთო ჯარისკაცები აწყობენ კავშირს კავკასიის მთებში

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. გაი მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი
დაბეჭდილია Deutscher Verlag, Berlin.